მარინე ილურიძე

აბუბექრ ბინ აბდულლაჰის ცნობები საქართველოს შესახებ

აბუბექრ ბინ აბდულლაჰი ეკუთვნის იმ ოსმალო ისტორიკოსთა რიცხვს, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდნენ 1578—1580 წლებში საქართველოში, შირვანში და დაღესტანში მუსტაფა ლალა ფაშასა და ოზდემირ-ოღლუ ოსმან ფაშას მიერ მოწყობილ ლაშქრობებში. მისი თხზულების „ოსმან ფაშას გამარჯვებათა წიგნის"[1] უმეტესი ნაწილი ეთმობა ოსმალთაგან შირვანის დაპყრობას. საქართველოს შესახებ ცნობები ძირითადად მოთავსებულია ოც გვერდზე (141 გვერდიდან), მაგრამ მიუხედავად ამისა, მასში ყველა ის ძირითადი მომენტია ასახული, რომელსაც ადგილი ჰქონდა თურქთა შემოსევის დროს და თუ გავითვალისწინებთ ამ მოვლენების ამსახველი ქართული წყაროების სიმცირეს, მაშინ ჩვენთვის გასაგები ხდება როგორც ქართულ ისტორიოგრაფიაში უკვე ცნობილი სხვა ოსმალური წყაროების, ისე ამ წყაროს მნიშვნელობაც.

აბუბექრი საქართველოში ოსმალთა ლაშქრის შემოჭრის მიზეზის თაობაზე არას გვეუბნება. იგი ოსმალური საისტორიო მწერლობისათვის დამახასიათებელი ტრადიციული შესავლის შემდეგ თხრობას თურქეთის სულთნის მურად III-ის (1574—1595) ბრძანებით იწყებს, აცხადებს, რომ „ქვეყნიერების ფადიშაჰმა და დიდებულმა შაჰინშაჰმა, არაბი და სპარსი მელიქების სულთანმა მურადის უმაღლესობამ, სელიმ ხანის ძემ ბრძანა, რომ სპარსთა ქვეყანაზე, შირვანსა და გურჯისტანის ვილაიეთზე ელაშქრათ... და გამარჯვების შარავანდედით მოსილ ლაშქარს... დიდვეზირებიდან სახელოვანი მუსტაფა ფაშა უსარდლა"[2].

ჩვენი ავტორის ცნობით ლალა ფაშას 150 ათასი მოლაშქრე ჰყავდა[3]. ამავე რიცხვს უთითებს XVI საუკუნის ქურთი ისტორიკოსი შერეფ ხან ბითლისელიც[4], ალისი და ისქანდერ მუნშის თქმით ოსმალთა ლაშქარი 100 ათასს[5],

---

[1] თხზულების შესახებ იხილეთ: მ. ილურიძე, აბუბექრ იბნ აბდულლაჰი და მისი „ოსმან ფაშას გამარჯვებათა წიგნი". „გულანი", თბ., 1989, გვ. 187—199.

[2] ابوبكر بن عبد الله، ظفر نامه عثمان پاشا გვ. 5.

[3] იქვე, გვ. 13.

[4] Шараф-хан Бидлиси, Шараф-Наме, т. II, Перевод, предисловие, примечания и приложения Е. И. Васильевой, М., 1976, ст. 235.

[5] عالى نصر نامه ვენური ნუსხა, ვსარგებლობთ ს. ჯიქიას მიერ შესრულებული თარგმანით. იმის გამო, რომ მეცნიერის თარგმანი დაკარგულია, გვერდებს ვერ ვუთითებთ; ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვ. ფუთურიძემ, თბ., 1969, გვ. 28.

დონ ხუან სპარსელის მიხედვით 200 ათასს[6], კარმელიტი მისიონერების ცნობით კი 300 ათასს მეომარს ითვლიდა[7].

ლაშქარმა მუსტაფა ფაშას მეთაურობით 986 წლის მუჰარემის დასაწყისში (1578 წ. მარტის მეორე დეკადა) სტამბოლი დატოვა და მის გარეუბან უსქუდარში გადაინაცვლა[8].

უსქუდარში თათბირისა და სამხედრო აღლუმის ჩატარების შემდეგ ლალა ფაშა აღმოსავლეთისკენ გაემართა. აბუბექრ ბინ აბდულლაჰს ჩამოთვლილი აქვს ის ძირითადი გეოგრაფიული პუნქტები, რომლებიც ლაშქარმა გაიარა, ესენია: სტამბოლი, უსქუდარი, აზღათი (იზმითი), აზინი (იზნიქი), იენიშეჰირი, ფოლადინი, აქშეჰირი, ალღაინი (ილგინი), კონია, კისირიე (კაისერი), სივასი, არზრუმი[9]. როგორც ვხედავთ მუსტაფა ფაშამ უსქუდარიდან აღმოსავლეთით—არზრუმისკენ კი არ გადაუხვია გზა, არამედ სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ დაიძრა, შიაღწია ქ. კონიას და შემდეგ ისევ ჩრდილოეთით აუყვა. ეტყობა სარდალს ლაშქრის შეგროვება სურდა და გზაც ამიტომ დაიგრძელა.

არზრუმი იყო ბოლო პუნქტი, სადაც მთელმა ლაშქარმა მოიყარა თავი. აქას ოცი დღე დასჭირვებია. ეს დრო სამხედრო სამზადისისთვის მოუნდომებიათ. მეომრები ყოველდღე შუადღის შემდეგ ცხენებზე ამხედრებულნი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ და ხანაც უხილავ მტერს ყიჟინას სცემდნენ. უკანასკნელი აღლუმი ლაშქარმა 986 წლის ჯუმადას დასაწყისში (1578 წ. ივლისის დასაწყისი) არზრუმის ციხის უკან დევე ბოიუნად (აქლემის ყელად) წოდებულ ადგილზე, გმირთა საფლავების მახლობლად გამართა. აღლუმზე ავტორის თქმით ყველაზე მეტად ოზდემირ-ოღლუ ოსმან ფაშა გამოირჩეოდა[10].

კარმელიტი მისიონერებისა და ანონიმი ვენეციელი ავტორის ცნობით არზრუმში გამართული აღლუმის შემდეგ ლალა ფაშას ერთი ტყვის ხელით სპარსეთის შაჰისთვის წერილი გაუგზავნია და დამორჩილება მოუთხოვია[11]. „ოსმან ფაშას გამარჯვებათა წიგნში“ ამის საპირისპირო ცნობას ვხვდებით. ოსმალთა ლაშქრის მოძრაობის დაწყებისთანავე ირანის შაჰ მუჰამედ ხუდაბენდეს (1577—1587) ერევნის ბეგლარბეგ თოქმაქ ხანისთვის შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნია: „შენ რომ თოქმაქ ხანი ხარ გეცნობოს, რომ რუმის ფადიშაჰის ვეზირმა მუსტაფა ფაშამ 150 ათასი მეომრით ჩვენი საზღვრები დაარბია და არზრუმის ვილაიეთში მივიდა. ახლა შენ, თოქმაქ ხანო, მუსტაფა ფაშასთან ელჩი გააგზავნე (და გაიგე), ამხელა ლაშქარი რომ შეჰყარეს და მოვიდნენ რა ლხდათ. თუ ჩვენთან ბრძოლა სწადიათ ჩვენც მოვემზადებით და თუ სხვა რამ აზრი აქვთ შეგვატყობინონ“. თოქმაქ ხანსაც მიჰმანდარი (მესტუმრეთუხუცესი) ძურადი გაუგზავნია, რომელიც ლალა ფაშას არზრუმიდან გამგზავრების წინ ხლებია. ოსმალო სარდალს შემდეგი პასუხი გაუცია: „ამ კურთხეულ წელს

---

[6] დონ ხუან სპარსელი, ვუთითებთ მ. სვანიძის წიგნის „საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან“ (XVI—XVII სს.)-ის მიხედვით, თბ., 1971, გვ. 100.

[7] A Chronicle of the Carmelites in Persia, v. I, p. 16, ვუთითებთ მ. სვანიძის დასახელებული ნაშრომის მიხედვით, გვ. 102.

[8] ظفر نامه عثمان پاشا, გვ. 6.

[9] იქვე, გვ. 6—8.

[10] იქვე, გვ. 9—10.

[11] A Chronicle of the Carmelites in Persia, v. I, p. 16, ვუთითებთ მ. სვანიძის დასახელებული ნაშრომის მიხედვით, გვ. 102; თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები (1577—1581), იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ე. მამისთვალიშვილმა, თბ., 1987, გვ. 22.

ლახგრეულ ყარსს აღვადგენ და თუ უზენაესი ღმერთი მოწყალებას მოიღებს და გაგვამარჯვებინებს ქართულ ვილაიეთებს დავიმორჩილებო"[12]. შევნიშნავთ, რომ მუსტაფა ალის ცნობით წერილი მიიღო და უპასუხა არა ლალა ფაშამ, არამედ არზრუმის ბეგლარბეგმა ბაჰრამ ფაშამ[13].

არზრუმიდან აყრის შემდეგ ოსმალეთის ლაშქარი ჰასანკალეს (ბასიანის ციხის) გავლით არტაანის ციხეს მიადგა[14], სადაც, ასევე ამ მოვლენების თვითმხილველის, ოსმალო ისტორიკოსის იბრაჰიმ რაჰიმიზადე ჩავუშის ცნობით, ლალა ფაშასთან „გურჯისტანის მელიქებიდან რამდენიმე მელიქის მორჩილების წიგნით კაცები მოვიდნენ და მეგობრობა და გულწრფელობა გამოამჟღავნეს და ეს მოწონებულ იქნა. მათ სულთნის უავგუსტოესი წიგნი ებოძათ და ამგვარად სარწმუნოებრივი მტრების უმრავლესობა დამორჩილდა"[15]. მუსტაფა ალი აზუსტებს ამ ცნობას, მორჩილების წიგნით ქაიხოსრო II-ის (1545—1573) ქვრივის დედისიმედის ელჩი მისულა. დედისიმედი პირობას სდებდა, რომ ოქცროს ვაჟს მანუჩარს მძევლად გააგზავნიდა, ხოლო თვითონ და უფროსი ვაჟი ყვარყვარე კი მოსახლეობას თურქებისკენ გადახრიდა და გადასახადსაც გადაიხდიდა[16]. როგორც ჩანს, დედისიმედი, ხედავდა რა მტრის უზარმაზარ ძალას, ცდილობდა, რომ ოსმალეთსა და სამცხე-საათაბაგოს შორის ურთიერთობა მოხარკეობის საფუძველზე დამყარებულიყო. რაჰიმზადეს ცნობითვე არტაანში მისვლამდე სადგურ ბასმალიში ლალა ფაშას „გურჯისტანის მელიქებიდან ბაშიაჩიკად წოდებული ოლქის ქეთხუდა და კიდევ რამდენიმე სახელოვანი ბეგი (ხლებია), მორჩილება გამოუცხადებიათ და რამდენიმე ფრთა მიჩინო მოურთმევიათ". ამ ვეზიტით გახარებულ ლალა ფაშასაც „სიცოცხლის, ქვეყნისა და ქონების ხელშეუხებლობა აღუთქვია"[17], მუსტაფა ალის თქმით კი ლალა ფაშას იმერეთის მეფე გიორგი II-ის (1565—1583) ელჩი მორჩილების წიგნითა და საჩუქრებით მთა ალაჰუექბერის სიახლოვეს მიუღია[18].

ლალა ფაშას ვარაუდით საქართველოსა და შირვანის დაპყრობას სამი თვე დასჭირდებოდა. არტაანში მას ჯარისთვის შემდეგი სიტყვებით მიუმართავს: „წინ მტრის ადგილია და სამი თვის სამყოფი სურსათი მოიმზადეთ"-ო[19]

მუსტაფა ფაშას არტაანიდანვე გაუგზავნია ათაბაგ ყვარყვარე IV-ის (1573—1581) ძმის მანუჩარისთვის მუქარით სავსე წერილი. იგი სწერდა: „შენ რომ ოქროსციხის პატრონი მანუჩარი ხარ გეცნობოს, რომ მე, რუმის ფადიშაჰის მდაბალი ვეზირი, ისლამის 150 ათასი მეომრითურთ შენზე მოვედი. თუ მოხვალ და ისლამის სარწმუნოების ფადიშაჰის ლაშქარს შეეგებები და დაემორჩილები, ჩვენც შენი მდგომარეობის შესაფერ პატივს მოგაგებთ და

---

[12] ظفر نامه عثمان پاشا, გვ. 12.

[13] نصرتنامه, სტამბოლური ნუსხა, გვ. 54b—56a, ციტირებულია F. M. Kirzioğlu-ს წიგნის Osmanlilarcn Kafkas—Ellerini Fethi (1451—1590)-ის მიხედვით, Ankara, 1976, გვ. 285.

[14] ظفر نامه عثمان پاشا, გვ. 13.

[15] ابراهیم رحیمی زاده چاوش، ظفر نامه حضرت سلطان مراد خان, გვ. 14.

[16] نصرتنامه, ვენური ნუსხა.

[17] ظفرنامه حضرت سلطان مراد خان, გვ. 13.

[18] نصرتنامه, ვენური ნუსხა.

[19] ظفر نامه عثمان پاشا, გვ. 13.

ოუ არ დაგვნებდები შურს ვიძიებ, შენს ხალხს ავაწიოკებ და ვილაიეთს ავაოხრებ"[20].

ჯერ კიდევ ლაშქრობის დაწყებამდე მუსტაფა ლალა ფაშამ არზრუმის ბეგლარბეგ ბაჰრამ ფაშას წერილი გაუგზავნა და სხვადასხვა პირობების შესრულებასთან ერთად ქართველთა განწყობილებისა და მოქმედების შეტყობინება დაავალა[21]. ცხადია, ყოველივე ამის შემდეგ მას მშვენივრად ეცოდინებოდა საქართველოში შექმნილი მდგომარეობა, მისი პოლიტიკური დაქუცმაცებულობა. ისიც ეცოდინებოდა, რომ 1576 წლის ივნისის თვეში სამცხე-საათაბაგოში შინაური ომი და აშლილობა დაიწყო — ერთის მხრივ ათაბაგის ოჯახსა და მეორეს მხრივ, საათაბაგოს თავადებს შორის ძმები კოკოლა და ლაშქარა შალიკაშვილების მეთაურობით[22]. მანუჩარისთვის წერილის გაგზავნით კი ლალა ფაშა ცდილობდა ათაბაგთა ოჯახშიც უთანხმოება შეეტანა და კიდევ უფრო იოლი გაეხადა სამცხე-საათაბაგოს დამორჩილება.

თხზულების ამ მონაკვეთში, სადაც ჩვენი ავტორი ლალა ფაშას არტაანიდან აყრასა და საქართველოსკენ გამგზავრებას გვაუწყებს, გვხვდება ერთი საინტერესო ცნობა: „...და აღნიშნული ციხის სიახლოვეს მდებარე ქართული ვილაიეთები და ოქროსციხედ წოდებული სიმაგრე ხათუნმა დაიპყრო და დაიმორჩილა"[23]. არტაანის ციხის სიახლოვეს მდებარე ქართული მიწები ხომ სამცხე-საათაბაგოს სამხრეთ, ხოლო მანუჩარის კუთვნილი ოქროსციხე კი მისი ჩრდილო საზღვარია, ე. ი. აბუბექრმა ამ ფრაზაში ძუნწად, მაგრამ მაინც მოხაზა სამცხე-საათაბაგოს საზღვრები, ხოლო ხათუნი კი, რომელმაც დაიპყრო და დაიმორჩილა ამ საზღვრებში მოქცეული სამცხე-საათაბაგო, იგივე ვაიხოსრო II-ის ქვრივი, ყვარყვარე IV-სა და მანუჩარის დედა დედისიმედია, რომელიც აღმოსავლურ წყაროებში როგორც ცნობილია „ოქროსციხის ფადიშაჰისა"[24] და „დედისიმედი ხათუნის"[25] სახელით მოიხსენიება.

ამის შემდეგ აბუბექრი აღწერს ოსმალთა მიერ ქართული ტერიტორიებისა და ციხეების დაპყრობას, კერძოდ, როგორც იგი გვამცნობს, არტაანიდან გასვლისთანავე ლალა ფაშას ქართული მიწები დაუმორჩილებია[26], სახელდობრ რომელი ამას არ ასახელებს. სხვა წყაროების მონაცემებით მათში საზღვართან ახლო მდებარე ველის ციხე და მგელციხე უნდა ვივარაუდოთ[27].

---

[20] იქვე, გვ. 13—14.

[21] نصرتنامه, ვენური ნუსხა, გვ. 21a—23a, ეუთითებთ А. Фарзалиев-ის დისერტაციის „Труды Мустафы Али-Ефенди как источник по истории Азербайджана конца XVI века"-ს მიხედვით, გვ. 53—54.

[22] ქრ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVI სს.) თბ., 1961, გვ. 155.

[23] ظفرنامه عثمان پاشا, გვ. 13.

[24] ნ. შენგელია, ოსმალო ისტორიკოსის მუნეჯიმ-ბაშის ცნობები ლალა მუსტაფა ფაშას ამიერკავკასიის ქვეყნებში ლაშქრობის შესახებ — ქართული წყაროთმცოდნეობა, ტ. II, თბ., 1968, გვ. 136.

[25] نصرتنامه, სტამბოლური ნუსხა, გვ. 68a—69a, ეუთითებთ Kirzioğlu-ს დასახ. ნაშრომის მიხედვით, გვ. 288.

[26] ظفر نامه عثمان پاشا, გვ. 13.

[27] ქრ. შარაშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 47; نصرتنامه, ვენური ნუსხა: იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო სერგი ჯიქიამ, თბ., 1964, გვ. 39; მუნეჯიმ-ბაში, გვ. 136.

როგორც თხზულებიდან ირკვევა, მტერი ქართველთა მხრიდან დიდ წინააღმდეგობას წაწყდომია, ავტორს ქართველი მეომრებისთვის საქებარი სიტყვაც კი დასცდენია „მამაცი მებრძოლები ყავდათო“ .

მომდევნო ციხე, რომელიც ოსმალებმა დაიპყრეს ჩვენი ავტორის ცნობით იყო თბილისის ანუ იგივე ქაჯის ციხე. ამ შეტევას არზრუმის ბეგლარბეგი ბაჰრამ ფაშა მეთაურობდა, როგორც სჩანს, ჩვენთვის უცნობ წინა ციხესთან შედარებით ამ ციხისთავის გამართული ბრძოლა კიდევ უფრო ფიცხელი გამომდგარა: „წყეულმა ურჯულოებმა ამათთან ძალიან ბევრი იომეს. ციხის შიგნიდან ისროთა და ქვით დიდი ბრძოლა გაუმართეს“-ო. ბაჰრამ ფაშას საკუთარი ძალებით ციხის დამორჩილება გასჭირვებია და მხოლოდ მაშველი რაზმის შემწეობით მოუხერხებია მისი აღება[28].

ოსმალთაგან ქაჯის ციხის დაპყრობა აღწერილია ასევე „მესხურ მატიანეში“[29], ვახუშტი ბატონიშვილის ისტორიაში[30], „პარიზის ქრონიკაში“[31] და XVI საუკუნის ვენეციელი ანონიმი ავტორის რელაციაში[32]. აქვე დავსძენთ, რომ პირველში ეს ფაქტი რვა, მესამეში ხუთი და მეოთხეში თოთხმეტი აგვისტოთია დათარიღებული. მუსტაფა ალის ნუსრეთ ნამეს სტამბოლური ნუსხის ძიხედვით ოსმალებმა თეთრციხე დაიპყრეს, სტამბოლში გაგზავნილ არზაში კი ავტორი თეთრციხის ნაცვლად იენი-ყალას იხსენიებს[33]. იენი-ყალას უთითებენ ასევე მუნეჯიმ-ბაში[34] და იბრაჰიმ ფეჩევი[35], „მუჰიმე დავთრების“ (მნიშვნელოვანი სიგელების სარეესტრო დავთარი) XXVII ტომის 867 გვერდზე კი ნათქვამია, რომ „შეითან-ყალას იენი-ყალასაც უწოდებენ[36], შეითან-ყალა კი ისევე, როგორც თბილისის ციხე ქართულ-თურქულ ენაზე ქაჯის ციხეს აღნიშნავს.

აბუბექრის ცნობით ქაჯის ციხისთვის გამართული ბრძოლის პარალელურად ჩილდირის ომიც დაწყებულა: „როცა მეომრები ამ ციხისთვის იბრძოდნენ, იმ დღეს დიარბაქირის ბეგლარბეგმა დერვიშ ფაშამ მეწინავე რაზმთან ერთად მიმდებარე ტერიტორიის შემოვლისას შენიშნა, რომ ერთ ფერდობზე რამდენიმე მეომარი გამოჩნდა... მიუახლოვდნენ და ნახეს, რომ გზასაცდენილი ყიზილბაშები არიან. თურმე ის წყეულები თოქმაქ ხანთან, ყარა ხანთან, ოვამყული ხანთან, ქიზილ დოღუზ ხანთან და სხვა ცნობილ ხანებთან ერთად, სულ 40 ათასამდე, საბრძოლველად მოსულან“[37]. მუსტაფა ალის, იბრაჰიმ ფეჩევისა და მუნეჯიმ-ბაშის მიხედვით ჩილდირის ომი იენი-ყალას დასაპყრო-

---

[28] ظفر نامه عثمان پاشا, გვ. 15—16.

[29] ქრ. შარაშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 47.

[30] აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის ძიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 721.

[31] ცხოვრება საქართველოისა (პარიზის ქრონიკა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, თბ., 1980, გვ. 50.

[32] ე. მამისთვალიშვილი, თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები, გვ. 22—23.

[33] نصرتنامه, სტამბოლური ნუსხა, გვ. 69a. 70b—76b, ვუთითებთ B. Kütükoğlu-ს „Osmanli-Iran siyasi münasebetleri.“ ტ. I (1578—1590)-ის მიხედვით, Istanbul, 1962, გვ. 51.

[34] მუნეჯიმ-ბაში, გვ. 146.

[35] იბრაჰიმ ფეჩევი, გვ. 39.

[36] ვუთითებთ B. Kütükoğlu-ს დასახ. ნაშრომის მიხედვით, გვ. 51.

[37] ظفر نامه عثمان پاشا, გვ. 16.

ბად გამართული ბრძოლის დროს დაწყებულა[38], მაგრამ როგორც უკვე აღნიშნეთ იენი-ყალა იგივე ქაჯის ციხეა, ანონიმი ვენეციელი ავტორი კი პირდაპირ ქაჯის ციხეს უთითებს[39]. რაჰიმიზადეს ცნობით ისლამის ლაშქარი „მეექვსე სადგომზე ჩილდირის ველზე მოვიდა და აღნიშნულ ციხეში გაჩერდა"[40], ჩილდირის ციხეს კი ზოგიერთი მკვლევარი ქაჯის ციხესთან აიგივებს[41]. ი. ჰამერისთვისაც ჩილდირის ციხე იგივე ქაჯის ციხეა, იგი წერს; „...მომდევნო ღღეს არტაანის ბეგმა სისხლიანი ბრძოლა გაუმართა თოქმაქ ხანს ჩილდირთან, ერთ პატარა ქართულ ციხესთან, რომელსაც ქაჯის ციხეს უწოდებენ"[42].

აბუბექრის თქმით ჩილდირის ბრძოლა დიარბაქირის ბეგლარბეგმა დერვიშ ფაშამ დაიწყო, არზრუმის ბეგლარბეგი ბაჰრამ ფაშა და ოზდემირ-ოღლუ ოსმან ფაშა კი მოგვიანებით ჩაებნენ[43], ალისა და ფეჩევის ცნობით კი ყიზილბაშს პირველად 40—50 რუმელიელი მებრძოლი გადაეყარა და ეს სამი სარდალი მათ დასახმარებლად შემდეგ გაეშურა[44]. ძნელი წარმოსადგენია, რომ 40—50 მეომარს ყიზილბაშთა მრავალრიცხოვანი ლაშქრისთვის (ყიზილბაშთა რაოდენობის შესახებ სხვადასხვა ავტორს სხვადასხვა ციფრი აქვს დასახელებული; მუსტაფა ალი და იბრაჰიმ ფეჩევი 30 ათასს[45], მუნეჯიმ-ბაში 29, 30 ათასს[46], რაჰიმიზადე 50 ათასს[47], ანონიმი ვენეციელი ავტორი 57 ათასს[48], სპარს ისტორიკოსებზე დაყრდნობით აზერბაიჯანელი მეცნიერი ო. ეფენდიევი 15 ათასს[49], აბდულ აზიზ ყარა ჩელები-ზადე 24 ათასს[50] ასახელებენ) წინააღმდეგობა გაეწია. აბუბექრის ზემომოყვანილი ცნობის სანდოობის დასტურად მოგვყავს მუნეჯიმ-ბაშის სიტყვები: „შემდეგ ვინაიდან მოვიდა ცნობა, რომ ჩუქურ-საადის გამგებელი თოქმაქ ხანი, ყარა ხანი, განჯის გამგებელი იმამ ყულიხანი და სხვები, სულ ირანელთა ცხრა ხანი, 30000 თუ 20000 ჯარით ჩილდირის ველზე დაბანაკდნენ და ვნებას აყენებენ მეპატრონეებს, ამიტომ დიარბაქირის ბეგლარბეგი დერვიშ ფაშა თავისი ეიალეთის ლაშქრით მათ წინააღმდეგ გაიგზავნა[51]. იგივეს გვამცნობს რაჰიმიზადეც: „დერვიშ ფაშამ ყარაულში ყოფნისას მეორე მხარეს ჩაღრმავებულ ადგილას განჯის მმართველი იმამყული-

---

[38] نصرتنامه, სტამბოლური ნუსხა, გვ. 70b—76b, ვუთითებთ B. Kütükoğlu-ს დასახელებული ნაშრომის მიხედვით, გვ. 52; ი ბ რ ა ჰ ი მ ფ ე ჩ ე ვ ი, გვ. 39; მ უ ნ ე ჯ ი მ ბ ა შ ი, გვ. 146.

[39] ე. მ ა მ ი ს თ ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები, გვ. 22—23.

[40] ظفرنامه حضرت سلطان مراد خان, გვ. 14.

[41] T. Kirzioğlu, დასახ. ნაშრომი, გვ. 289, 473; მ ა მ ი ს თ ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი ს. დასახ ნაშრ გვ. 48.

[42] I. H a m m e r, Geschichte des Osmanischen Reichs, ტ. 4, Wien. 1829, გვ. 64.

[43] ظفر نامه عثمان پاشا, გვ. 16, 17.

[44] نصرتنامه, ვენური ნუსხა; იბრაჰიმ ფეჩევი, გვ. 39.

[45] იქვე.

[46] მუნეჯიმ-ბაში, გვ. 136.

[47] ظفر نامه حضرت سلطان مراد خان, გვ. 14.

[48] ე. მ ა მ ი ს თ ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები, გვ. 23.

[49] О. Э ф е н д и е в, Азербайджанское Государство Сефевидов в XVI веке, Баку, 1981, с. 150.

[50] გ. ა ლ ა ს ა ნ ი ა, აბდულ აზიზ ყარა ჩელები-ზადეს ცნობები საქართველოს შესახებ, „საისტორიო კრებული", VI, თბ., 1976, გვ. 103.

[51] მ უ ნ ე ჯ ი მ-ბ ა შ ი, გვ. 136.

ხანი, სარდლად დანიშნული დაუმორჩილებელი თოქმაქი, რამდენიმე სახელოვანი სულთანი და 50 ათასზე მეტი მეომარი შენიშნა. ზემოხსენებულმა ლაშამ სურვილი ვეღარ დაიოკა და ვარსკვლავებივით მრავალრიცხოვან ჯარს ერთი ბეგლარბეგი შეეწინააღმდეგა"[52]. აქვე შევნიშნავთ, რომ ოსმალთა რაზმის რაოდენობას ანონიმი ვენეციელი ავტორი 33 ათასით, სპარსელთა ლაშქრისას კი 57 ათასით[53], იბრაჰიმ ფეჩევი და მუნეჯიმ ბაში ირანელთა რაოდენობას 30 ათასით[54], რაჰიმიზადე ჩავუში კი 50 ათასით[55] საზღვრავს. როგორც ვხედავთ, მოტანილი ციფრები ერთმანეთს ეწინააღმდეგება, მაგრამ ერთი რამ ცხადია, თავდაპირველად ოსმალონი ყიზილბაშებზე გაცილებით ნაკლები ყოფილან.

ჩილდირის ომში უამრავი მებრძოლი დაიღუპა. როგორც აბუბექრი ამბობს „ადამიანთა სისხლისგან მიწა შავი ტიტის ფერი გახდა და ცხენთა ფლოქვებისგან ბამბასავით დარბილდა". გვიან დილით დაწყებული ბრძოლა ძილისწინა ნამაზისათვის ოსმალთა გამარჯვებით დამთავრდა. ყიზილბაშთა ნაწილმა სიბნელით ისარგებლა, ზოგი ბალახში ჩაიმალა და ზოგი კიდევ ქვას ამოეფარა. ერთი ნაწილი ყიზილბაშებისა ოსმალებმა ხელთ იგდეს და მეორე დილით ლაშქრის წინ თავები დააყრევინეს[56]. რაჰიმიზადეს ცნობით იმ დღეს 1000-ზე მეტი ყიზილბაშისთვის მოუკვეთიათ თავი[57], სელიანიქი ტყვედ ჩავარღნილთა რაოდენობას ორი ათასით[58], ალი და იბრაჰიმ ფეჩევი ხუთასით[59], მუნეჯიმ-ბაში კი ხუთი ათასით განსაზღვრავს[60]. ამ გამარჯვებას ოსმალთათვის კიდევ ერთი სასიხარულო ამბავი დაერთო, მეორე დღეს მუსტაფა ლალა ფაშას მანუჩარი ხლებია. ოსმალები მას დიდი ზარ-ზეიმით შეხვედრიან. ლალა ფაშას ბრძანებით იანიჩრები წინ შეგებებიან მანუჩარს, მაგრამ არა მისი პატივისცემის ნიშნად, არამედ როგორც ჩვენი ავტორი ამბობს „დიდებისა და ძალაცობის საჩვენებლად". ლალა ფაშას თავისი კარვის სიახლოვეს ყიზილბაშთა მოკვლილი თავები და გვამები დაუყრია, რათა მანუჩარზე ზემოქმედება ეზეხდინა და თავისი სიძლიერე და შეუბრალებლობა ეჩვენებინა. ამ სურათის დანახვას ქართველებზე მართლაც დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია: „ფაშას კარავთან რომ მოვიდნენ და ეს დაყრილი გვამები და თავებისგან აგებული ზვინები დაინახეს, შემოდგომის ქარივით აკანკალდნენ, გაფითრდნენ და გრძნობა და გონება დაეკარგათ"-ო წერს ავტორი[61]. იმავე დღეს ლალა ფაშას მოუკვეთია დივანი, რომელსაც მანუჩარიც დასწრებია, მაგრამ მისვლამდე მანუჩარს ოსმალო სარდალთან ელჩი გაუგზავნია და უზენაეს კარში მისასვლელად თან-

---

[52] ظفر نامه حضرت سلطان مراد خان, გვ. 14.

[53] ე. მ ა მ ი ს თ ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები, გვ. 23.

[54] ი ბ რ ა ჰ ი მ ფ ე ჩ ე ვ ი, გვ. 39; მუნეჯიმ-ბაში, გვ. 136.

[55] ظفر نامه حضرت سلطان مراد خان, გვ. 14.

[56] ظفر نامه عثمان پاشا, გვ. 18, 19.

[57] ظفر نامه حضرت سلطان مراد خان, გვ. 15.

[58] გ. ფ უ თ უ რ ი ძ ე, მუსტაფა სელიანიქი საქართველოს შესახებ, თბილისის უნივერსიტეტის შრომები № 91, თბ., 1960, გვ. 262.

[59] نصرتنامه, ვენური ნუსხა, გვ. 62; იბრაჰიმ ფეჩევი, გვ. 40.

[60] მ უ ნ ე ჯ ი მ-ბ ა შ ი, გვ. 136.

[61] ظفر نامه عثمان پاشا, გვ. 20, 21.

ხმობა უთხოვია, რაზედაც რა თქმა უნდა დასტური მიუღია[62], მანუჩარს ასევე ოსმალეთის ხაზინის სასარგებლოდ ჯიზიას გადახდაც უკისრია[63].

ჩილდირის ბრძოლის შემდეგ მისვლა მანუჩარის მეორე მისვლა იყო. როგორც აბუბექრი გვამცნობს, ჯერ კიდევ ჩილდირის ომამდე არტაანში ხლებია იგი ოსმალო სარდალს და სურსათ-სანოვაგე მიუტანია[64]. მისი პირველი მისვლა არტაანში ფიქსირებულია ასევე „მესხურ ქრონიკაშიც“: „აგრეთვე არ-ფაქსად ჰბირებოდა ექუსით ციხითა და პატრონს მანუჩარს თან მიჰყუა“[65]; როგორც მატიანეშია ნათქვამი ეს მისვლა ორ აგვისტოზე ადრე უნდა მომხდარიყო[66]. მანუჩარის მიერ სურსათის მიტანას თავისი მიზეზი ჰქონდა; ის რომ ლალა ფაშამ მისდამი გაგზავნილ წერილში სანოვაგის მიწოდებაც დაავალა[67].

ჩილდირის ომში ოსმალთა გამარჯვების შემდეგ მანუჩარს სხვა გზა არ ჰქონდა, მათ სამსახურში უნდა ჩამდგარიყო და სარწმუნოებაც მათი მიეღო, აბუბექრის თქმით კი იგი ისლამის სარწმუნოების უპირატესობაში დარწმუნებულა და ამიტომ ზიარებია მას, სახელად კი მუსტაფა უწოდებიათ[68]. მანუჩარის გამაჰმადიანებას ჩილდირის ბრძოლის მეორე დღეს ადასტურებენ ასევე ჩეჰმედ ბენ მეჰმედი, ქათიბ ჩელები[69] და მუნეჯიმ-ბაში[70]. მ. სვანიძე კი კონსტანტინეპოლში მყოფი საფრანგეთის ელჩის ცნობაზე დაყრდნობით 1579 წლის 25 ივნისით ათარიღებს[71]. იგივე წელია აღნიშნული ასევე 1579 წ. 9 დეკემბრით დათარიღებულ ჰუქმეშიც, რომელიც თურქეთის სულთანმა მურად III-ემ ჩილდირის ვილაიეთის ბეგლარბეგ მანუჩარს გაუგზავნა[72].

აბუბექრისავე ცნობით მანუჩარისთვის ოლთისის ლივა მიუციათ სანჯაყად[73]. ოლთისის ლივა „მესხური მატიანის“, ვახუშტი ბატონიშვილის და „პარიზის ქრონიკის“ მიხედვით ყვარყვარე IV-სთვის უბოძებიათ[74]. იგივეს იმეორებენ მუსტაფა ალი და მუნეჯიმ-ბაში, ამასთან უმატებენ, რომ მანუჩარს აწყურის სანჯაყი გადაეცა[75], მაგრამ, როგორც ზემოაღნიშნული ჰუქმიდან ირ-

---

[62] ظفر نامه حضرت سلطان مراد خان, გვ. 15.

[63] იქვე, გვ. 16.

[64] ظفر نامه عثمان پاشا, გვ. 15.

[65] ქრ. შარაშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 49.

[66] იქვე, გვ. 49, 164.

[67] نصرتنامه, ვენური ნუსხა.

[68] ظفر نامه عثمان پاشا, გვ. 21.

[69] მეჰმედ ბენ მეჰმედი. ისტორია, გვ. 98; ქათიბ ჩელები. جهان نما გვ. 408, ვუთითებთ გ. ალასანიას წერილის „აბდულ აზიზ ყარა ჩელები-ზადეს ცნობები საქართველოს შესახებ“-ის მიხედვით, გვ. 114.

[70] მუნეჯიმ-ბაში, გვ. 137.

[71] მ. სვანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 134.

[72] ც. აბულაძე, სამცხე-საათაბაგოს ისტორიიდან (XVI ს. 80-იანი წლები), „მრავალთავი“, XV, თბ., 1989, გვ. 200, 202.

[73] ظفر نامه عثمان پاشا, გვ. 21.

[74] ქრ. შარაშიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 51. ვახუშტი, გვ. 722; პარიზის ქრონიკა, გვ. 53.

[75] نصرتنامه, ვენური ნუსხა, გვ. 72b, ეუთითებთ А. Фарзалиев-ის დისერტაციის მიხედვით, გვ. 74, მუნეჯიმ-ბაში, გვ. 137.

კვევა, 1579 წლის ბოლოსათვის ზოგიერთ სხვა რაიონებთან ერთად მანუჩარისოვის აწყურის ლივა წაურთმევიათ[76].

მანუჩარისადმი ოლთისის გადაცემის შესახებ ცნობა, როგორც თანამედროვე თურქი მეცნიერი ი. დანიშმენდი აღნიშნავს, დაცულია სხვა ოსმალურ წყაროშიც[77], მაგრამ სახელდობრ რომელში, ამას არ უთითებს. საგულვებელია, ი. დანიშმენდი აქ ჩვენი ავტორის თხზულებას გულისხმობს.

„ოსმან ფაშას გამარჯვებათა წიგნში" ქართველებსა და ოსმალებს შორის სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაზე აღჯაყალასთვის (თეთრციხისათვის) გამართული შეტაკება ბოლო ბრძოლა იყო. ჩილდირის ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე ეს ციხე ლალა ფაშას მოსვლამდე არტაანის ბეგ აბდურრახმანს დაუპყრია. სარდალს კი შიგ მცველები ჩაუყენებია და თოფ-იარაღით უზრუნველუყვია... ოსმალები ქართველთა მხრიდან აქაც მედგარ წინააღმდეგობას წაწყდომიან[78].

როგორც ვხედავთ ქართველებს ოსმალთათვის სამცხე-საათაბაგოში საკადრისი პასუხი ვერ გაუციათ. ადგილი ჰქონდა მხოლოდ ცალკეული ციხეებისთვის გამართულ შეტაკებებს, თუ არ ჩავთვლით ჩილდირის ომს, რომელშიც ოსმალების წინააღმდეგ უმეტესად ყიზილბაშები იბრძოდნენ, თუმც ქართველი მეომრებიც იყვნენ, მაგრამ ცოტანი[79]. სამცხე-საათაბაგოს მთელი სამხედრო ძალის გაერთიანება რომ ვერ მოხერხდა, ამის მიზეზი მასში ატეხილი შინაური ომი იყო. როგორც მ. სვანიძე შენიშნავს, „საქართველოს მეფე-მთავრები თავისი პირადი ინტერესების შესაბამისად მოქმედებდნენ"[80], იმას კი არ ფიქრობდნენ თუ ასეთი პოლიტიკა ხვალ და ზეგ თვითონ მათ რა სიკეთეს მოუტანდა. საქართველოს დაქუცმაცებულობით ისარგებლა ოსმალომაც და არზრუმიდან აყრის შემდეგ სულ რაღაც ერთ თვეში გაიარა სამცხე-საათაბაგო და აღჯაყალას დამორჩილებიდან მეათე დღეს უკვე თბილისში შევიდა[81].

თბილისის ამბების აღწერას თხზულებაში სულ რამდენიმე სტრიქონი აქვს დათმობილი. აბუბექრი ირანის შაჰის მიერ ქართლის გამგებლად დანიშნულ სიმონ მეფის (1556—1569, 1578—1600) ძმას დავითს, დაუთ-ხანად წოდებულს (1569—1578) ყიზილბაშ ხანად იხსენიებს. თბილისში შესვლისას ოსმალთა ლაშქარს არავითარი წინააღმდეგობა არ შეხვედრია. ქალაქი ცარიელი დახვდა, მოსახლეობა გახიზნულიყო[82]. იგივეს გვამცნობენ მუსტაფა ალი[83], სელიანიქი[84], იბრაჰიმ ფეჩევი[85] და მუნეჯიმ-ბაში[86]; იბრაჰიმ რაჰიმიზადეს ცნობით კი: „დაუთ-ხანმა, წარმოშობით ქართველმა, ბრძოლა მიიღო და შეა-

---

76 ც. აბულაძე, სამცხე-საათაბაგოს ისტორიიდან, გვ. 198, 200, 203.

77 I. H. Danişmend, Izahlı Osmanlı Tarihi kronolojisi, ტ. III, İstanbul, 1961 გვ. 22.

78 ظفر نامه عثمان پاشا, გვ. 21.

79 მ. სვანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 108.

80 იქვე, გვ. 103.

81 ظفر نامه عثمان پاشا, გვ. 22.

82 იქვე.

83 نصرتنامه, ვენური ნუსხა.

84 სელიანიქის ისტორია, გვ. 263.

85 იბრაჰიმ ფეჩევი. გვ. 41.

86 მუნეჯიმ-ბაში, გვ. 137.

ლამისას მიატოვა ციხე". ამის შემდეგ დაუთ-ხანი ტყესა და ველს აფარებდა თავს, მტერიც მის სამყოფელს გაიგებდა თუ არა, მაშინვე თავს ესხმოდა და ისიც იძულებით ებმებოდა ბრძოლაში, რომელშიც ავტორის თქმით ოსმალო ინარჯვებდა[87].

რაჰიმიზადეს ცნობითვე „ყოველდღიურად სიმშვიდემოწყურებული, დაღანტული რეაია თავის ადგილზე ბრუნდებოდა. წარჩინებულმა კაცებმა ფადიშაჰის უპირატესობა აღიარეს... და მათი უმეტესობა თავის კარ-მიდამოს დაუბრუნდა"[88].

აბუბექრის თქმით თბილისიდან მუსტაფა ლალა ფაშას კახეთის მმართველ ალექსანდრესთან (1574—1605) სარუხანის სანჯაყბეგ კაიტას ბეგის ხელით წერილი გაუგზავნია. რა თქმა უნდა, მასაც მორჩილებისკენ მოუწოდებდა. ალექსანდრემაც, როგორც გონიერმა პოლიტიკოსმა, მიიღო მისი წინადადება და ოსმალო სარდალს თბილისიდან გასვლის მეორე დღეს „ერთი სოფლის მახლობლად" შეეგება[89]. რაჰიმიზადე ნაწილობრივ აზუსტებს შეხვედრის ადგილს. მისი თქმით იგი მდ. ქაბურის (იორის) მარცხენა სანაპიროზე მომხდარა[90], მესხურ ქრონიკაში კი კონკრეტულადაა დასახელებული სოფლის სახელი — სათისჭალა[91], მაგრამ როგორც ჩანს მანამ, სანამ ეახლებოდა, ალექსანდრე მეფემ მუსტაფა ფაშასთან წინასწარი მოლაპარაკება გამართა. ამას გვაფიქრებინებს მუსტაფა ალის ცნობა იმის შესახებ, რომ კახეთის მეფეს 30 აგვისტოს იორამ ბეგი გაუგზავნია მასთან, თავად კი პირველ სექტემბერს ხლებია ოსმალო სარდალს[92]. ამას გარდა გამორიცხული არაა, რომ სწორედ იორამ ბეგს მიეტანა ოსმალოსთვის ალექსანდრეს მიერ გაგზავნილი სურსათი, რადგანაც როგორც ყარა ჩელები-ზადე და სელიანიქი გვამცნობენ, ალექსანდრემ კი არ მიიტანა, არამედ გაუგზავნა სურსათი[93].

ალექსანდრეს მორჩილებით გახარებულმა ლალა ფაშამ მასაც ისეთივე შეხვედრა მოუწყო, როგორც ამანუჩარს; ძვირფასად ნაქარგი სამოსი უბოძა, თავისსავე ვილაიეთში სანჯაყი მისცა, „ხარაჯის გადახდა დააკისრა და პირობა ჩამოართვა, რომ შემდეგში ფადიშაჰის ბრძანებას არ გადავიდოდა[94]. იბრაჰიმ ფეჩევისა და შერეფ ხან ბითლისელის ცნობითაც ალექსანდრე მეფეს ხარაჯის გადახდა დაეკისრა[95]. მუსტაფა ალი ხარაჯის ნაცვლად ჯიზიას[96], მუნეჯიმ-ბაში კი მალს წერს[97]. ალექსანდრე მეფისთვის შეწერილ გადასახადად ხარაჯა, ჯიზია თუ მალი იქნება დასახელებული ამას მნიშვნელობა არა აქვს, რადგანაც ვ. გაბაშვილის განმარტებით „სათათრო მალი" და „ხარაჯა" უცხო დამპყრო-

---

[87] ظفر نامه حضرت سلطان مراد خان, გვ. 17.

[88] იქვე.

[89] ظفر نامه عثمان پاشا, გვ. 23—26.

[90] ظفر نامه حضرت سلطان مراد خان, გვ. 18.

[91] ქრ. შ ა რ ა შ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 50.

[92] نصرتنامه, ვენური ნუსხა, გვ. 76ბ, ეუთითებთ А. Фарзалиев-ის დისერტაციის მიხედვით, გვ. 75

[93] ყ ა რ ა ჩ ე ლ ე ბ ი-ზ ა დ ე, გვ. 104; სელიანიქის ისტორია, გვ. 264.

[94] ظفر نامه عثمان پاشا, გვ. 27.

[95] ი ბ რ ა ჰ ი მ ფ ე ჩ ე ვ ი, გვ. 42; Ш а р а ф-х а н Б и д л и с и, დასახ. ნაშრომი, გვ. 236.

[96] نصرتنامه, ვენური ნუსხა.

[97] მ უ ნ ე ჯ ი მ-ბ ა შ ი, გვ. 147.

ბელთა სასარგებლოდ დაწესებულ ხარკს ეწოდებოდა"[98]. ხარკად უნდა ვიგულვოთ ჯიზიაც, ვინაიდან როგორც გ. ფუთურიძე შენიშნავს, იგი ხარაჯის სინონიმური შესატყვისია[99]. ოსმალთა მიერ კახეთისათვის დაწესებულ გადასახადად ხარკია ასევე მოხსენებული საქართველოს ისტორიის ნარკვევებში[100].

შევნიშნავთ, რომ ჩვენი ავტორი ისევე როგორც მუსტაფა ალი და შერეფ ხან ბითლისელი, იმდროინდელი ტრადიციის თანახმად ალექსანდრეს ნაცვლად ხშირად წერს ლევანს.

აბუბექრის ცნობით არეშიდან უკან გამომგზავრების შემდეგ ლალა ფაშას ერთი ორი დღე თბილისში შეუსვენია, მეციხოვნეებისთვის ცოტაოდენი სურსათი დაუტოვებია და შემდეგ არზრუმისკენ აუღია გეზი, მაგრამ ეს მგზავრობა — თბილისიდან არზრუმამდე — ოსმალთათვის არც თუ ისე უხიფათო გამომდგარა. ჯერ ერთი, რომ სიცივეებმა, თოვლმა და წყალდიდობამ მოუსწრო, რის გამოც დიდი გაჭირვება გადაიტანეს, მაგრამ ყველაზე მეტად რთული ის იყო, რომ ქართველები კვალში ჩაუდგნენ და უმეტესად ჩამორჩენილებს ხოცავდნენ და ძარცვავდნენ[101]. მუსტაფა ალისა და მინადოის ცნობით ოსმალთა დაწიოკება სიმონ მეფისა და იმამყული ხანის თაოსნობით ხდებოდა[102].

ამის შემდეგ აბუბექრი დაწვრილებით აღწერს თბილისის ალყას, როცელსაც სიმონ მეფე, იმამყული სულთანი, ხალიფა ანსარი და დოლმაზ ბეგი ძეთაურობდნენ. ალყა ოთხი თვე გაგრძელებულა. მეციხოვნეები შიმშილისა და გასაჭირისგან მარაშის ბეგლარბეგ მუსტაფა ფაშას უხსნია. როგორც ჩვენი ავტორი ამბობს: „წყეულმა ყიზილბაშმა ისლამის ლაშქრის მოსვლა რომ გაიგო სახე გაუშავდა და ყველამ საკუთარ მამულს მიაშურა"-ო[103].

თბილისის ციხემ აბუბექრის ცნობით სურსათ-სანოვაგის სახით ერთხელ კიდევ მიიღო დახმარება. ამჯერად ოსმალთა ექსპედიციას მეთაურობდა სულთნის მიერ ახლადდანიშნული სარდალი სინან ფაშა[104]. თუ როდის მოხდა ეს, ამის შესახებ ჩვენი ავტორი არას ამბობს. საერთოდ უნდა შევნიშნოთ, რომ იგი მთელ თხზულებაში არც ერთხელ არ უთითებს ზუსტ თარიღს, მხოლოდ თვის დასაწყისის, შუა რიცხვებისა და თვის დასასრულის აღნიშვნით კმაყოფილდება, მაგრამ როგორც უკვე ვთქვით, ამ შემთხვევაში არც ამას არ უთითებს, თუმცა გამოანგარიშებით დაახლოებითი თარიღის დადგენა მაინც ხერხდება. სინან ფაშა თბილისში 1580 წლის აგვისტოს დასასრულს შისულა. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობითაც ამ ფაქტს 25 აგვისტოს მომდევნო დღეებში ჰქონია ადგილი[105].

---

98 ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეებში, თბ., 1958, გვ. 251.

99 გ. ფუთურიძე, გადასახადები და საგადასახადო სისტემა, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957, გვ. 256.

100 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 129.

101 ظفر نامه عثمان پاشا, გვ. 101.

102 نصرتنامه, ვენური ნუსხა, გვ. 113ab, ეუთითებთ А. Фарзалиев-ის დისერტაციის მიხედვით, გვ. 94; მინადოი, გვ. 84—85, ეუთითებთ საქართველოს ისტორიის ნარკვევების IV-ე ტომის მიხედვით, გვ. 130.

103 ظفر نامه عثمان پاشا, გვ. 102—104.

104 იქვე, გვ. 132.

105 იბრაჰიმ ფეჩევი, გვ. 61.

1579 წლის ამბების, კერძოდ მუჰამედ გირეი სულთნის მეთაურობით მოწყობილი ყირიმელი თათრების შემოსევის აღწერისას აბუბექრს ნახსენები აქვს ქ. ზაგემი. იგი თათართა ერთ მარბიელ რაზმს გაუძარცვია[106]. ვენეციელი ანონიმი ავტორის განმარტებით ამ თავდასხმის მიზეზი ის იყო, რომ როცა „ალყაშემორტყმულმა ოსმან ფაშამ ქართველთა მეფეს სურსათით დახმარება სთხოვა, მან უარი შეუთვალა და განაცხადა: აღარ მსურს თურქების მოკავშირედ ყოფნა, სპარსელები უკეთესნი არიანო"[107].

ასეთია აბუბექრის ცნობები XVI საუკუნის 70-იანი წლების საქართველოს ისტორიის შესახებ. როგორც ვნახეთ, ცნობათა უმეტესობა დასტურდება ქართულ, სპარსულ, ევროპულ და სხვა ოსმალურ წყაროებში, რაც აბუბექრ ბინ აბდულლაჰის თხზულების სანდოობაზე მიუთითებს.

М. А. ИЛУРИДЗЕ

СВЕДЕНИЯ АБУБЕКРА БИН АБДУЛЛАХА О ГРУЗИИ

Резюме

Предлагаемая статья касается экспедиций, проведенных в 1578—1580 гг. Мустафой Лала пашой и Оздемиром-оглы Осман пашой против Грузии, Ширвана и Дагестана, участником которых являлся автор сочинения «Книга побед Осман Паши» — османский историк Абубекр бин Абдуллах.

Будучи очевидцем описанных им событий, Абубекр правдиво рассказывает о вторжении османов в Грузию, взятии крепости Кадж, Чылдырской битве, а также об экспедициях, проведенных бейлярбеем Мараши Мустафой пашой и Синан пашой.

Привлеченные автором сочинения факты находят свое подтверждение в грузинских, персидских, европейских и других османских источниках, что свидетельствует о достоверности сведений, приведенных Абубекром.

---

[106] ظفر نامه عثمان پاشا, გვ. 124.

[107] ე. მამისთვალიშვილი, თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები, გვ. 39.